

მუხლი 86. მეორე უცხოური ენის წლიური პროგრამები

მეორე უცხოური ენა დაწყებით საფეხურზე

V კლასი

მიმართულება 1. ზეპირი მეტყველება (მოსმენა/მოსმენა-ყურება და ლაპარაკი)	
მისაღწევი შედეგები	V კლასის შეფასების ინდიკატორები
<p>II უცხ. დაწყ. (II) 1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული თემატიკის შემცველი მცირე ზომის ტექსტების გაგება.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ გამოარჩევს ცალკეულ სიტყვებს/შესიტყვებას სიტყვების ნაკადში; ➤ ამოიცნობს ფრაზების/გამოთქმების მნიშვნელობას; ➤ რეაგირებს მასწავლებლის მითითებებსა და მარტივ ინსტრუქციებზე; ➤ ამოიცნობს დიალოგის/მონოლოგის თემას; ➤ ამოიცნობს პერსონაჟებს/თანამოსაუბრეებს; ➤ განასხვავებს მეტყველების ფამილარულ და თავაზიან ფორმას დიალოგში; ➤ ამოიცნობს ინტონაციით გამოხატულ ემოციებს (სიხარულს, გაკვირვებას, გაბრაზებას და სხვა); ➤ ამოკრებს ფაქტობრივ ინფორმაციას (სად, როდის, რამდენი, რომელი, როგორი და სხვა) ტექსტიდან.
<p>II უცხ. დაწყ. (II) 2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სიტყვების, წინადადებებისა და ტექსტების გარკვევით და შესაბამისი ინტონაციისა თუ მახვილების დაცვით წარმოთქმა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ბაძავს მოსმენილი ბგერების, სიტყვების ჟღერადობას; ➤ ბაძავს უცხოური ენისათვის დამახასიათებელ ინტონაციას, წარმოთქმას; ➤ გაითამაშებს სცენებს, დიალოგებს; ამბობს ენის გასატეხებსა და ლექსებს რიტმის, პაუზების, ინტონაციის დაცვით.
<p>II უცხ. დაწყ. (II) 3. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრულ თემატიკაზე მარტივი ენით ინტერაქცია და რამდენიმე წინადადებიანი მონოლოგის წარმოთქმა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სვამს და პასუხობს კითხვებს ნაცნობ თემატიკაზე; ➤ ცდილობს, უცხოურ ენაზე გადმოსცეს სათქმელი სასწავლო პროცესში წარმოქმნილ პრობლემებთან დაკავშირებით (მაგ.: “ვერ გავიგე”; “ეს რას ნიშნავს?”; “რვეული შინ დამრჩა”; “მათხოვე ფანქარი!” და სხვა); ➤ შეარჩევს საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვის მიმართვის თავაზიან და ფამილარულ ფორმებს ინტერაქციისას; ➤ მონაწილეობს მარტივ სიმულაციურ სიტუაციებში (მაგ.: შეხვედრა, გაცნობა და სხვა); ➤ სათანადოდ რეაგირებს თანამოსაუბრის რეპლიკებზე, კითხვებზე; ➤ ლაპარაკობს საკუთარ თავზე, ახლობლებზე.
<p>II უცხ. დაწყ. (II) 4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ზეპირი მეტყველების</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ იყენებს პირველ უცხოურ ენაში მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას;

<p>სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.</p>	<ul style="list-style-type: none"> ➤ გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შინაარსის შესახებ სათაურისა და ილუსტრაციების საფუძველზე; ➤ იშველიებს არავერბალურ ელემენტებს (ხმის ტემბრს, ინტონაციას, მიმიკას, ჟესტიკულაციას, სხვადასხვა ტიპის ხმაურს, ლოგიკურ მახვილებს) ცოცხალი მეტყველების/ჩანაწერის გასაგებად; ➤ ამოიცნობს უცნობი სიტყვების, გამოთქმების, წინადადებების მნიშვნელობას ნაცნობ ელემენტებზე დაყრდნობით (კონტექსტი, ინტონაცია, ილუსტრაცია და სხვა); ➤ თავს უყრის ზეპირი კომუნიკაციის წარმართვისათვის აუცილებელ რესურსებს (მაგ.: მოდელებს, წინადადებებს, გამოთქმებს, კლიშეებს); ➤ ითხოვს განმარტებას, ნელა და გარკვევით წარმოთქმას, გამეორებას გაუგებრობის შემთხვევაში.
--	--

რეკომენდაციები

მოსასმენი ტექსტის ტიპები:

ა) მასწავლებლის მითითებები, სავარჯიშოს პირობები, მარტივი შეტყობინება;

ბ) თემატური მინი-დიალოგები, მონოლოგები, მარტივი აღწერითი ხასიათის ილუსტრირებული ტექსტები და სხვა;

გ) ლექსები, სიმღერები, ენის გასატეხები, გათვლები;

დ) სხვადასხვა სახის აუდიო-ვიდეო მასალა (მაგ.: სასწავლო და ავთენტური მასალები, ანიმაციური ფილმები და სხვა).

რეპროდუცირებისთვის განსაზღვრული ტექსტის ტიპები: პატარა ლექსები, გათვლები, ენის გასატეხები და სხვა;

პროდუცირებისთვის განსაზღვრული ტექსტის ტიპები და თემატიკა:

- მარტივი დიალოგი, მონოლოგი; მარტივი თხრობითი ან აღწერითი ტექსტები და სხვა;
- ოჯახი, საცხოვრებელი ადგილი, სკოლა, თავისუფალი დრო და აქტივობები, მეგობრები, ამინდი, ფერები, საყვარელი ნივთი, ცხოველები, გატაცებები და სხვა.

აქტივობათა ნიმუშები:

- პერსონაჟის ან კონკრეტული მოქმედების განსახიერება მიმიკებისა და ჟესტიკულაციის დახმარებით;
- მოსმენილი ტექსტის პერსონაჟის ინტონაციის, ხმის ტემბრის მიბადვა;
- მოსმენილი წინადადებების შესაბამის ილუსტრაციებთან დაკავშირება;
- მოსმენილ ტექსტზე დაყრდნობით სწორი წინადადებების მონიშვნა;
- ტექსტში მოსმენილი ნაცნობი სიტყვების შემოხაზვა წინასწარ მიცემული სიტყვების ჩამონათვალში;
- მოსმენილი ტექსტის მიხედვით ილუსტრაციის დასრულება;
- ცხრილში სათანადო უჯრის შევსება მოსასმენი ამოცანების შესაბამისად და ნაკლული ტექსტის შევსება;
- ტექსტში ინტერნაციონალიზმების ამოცნობა და მათი დასახელება;
- ჩანაწერში მოსმენილი ან მასწავლებლის მიერ წარმოთქმული ბგერების, სიტყვებისა და მოკლე ფრაზების გამეორება;
- მეწყვილისათვის/თანაკლასელისათვის ინტერვიუს ჩამორთმევა (მაგ., რა გქვია? რამდენი წლის ხარ?);
- ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაციის პრეზენტაცია (მაგ., მაია 10 წლისაა, მას ერთი და ჰყავს და მისთ.);

- საკუთარი ოჯახის წევრების, მეგობრების, ზღაპრის საყვარელი გმირის, კომიქსის პერსონაჟის მარტივი ენით აღწერა;
- ფოტოებსა და ილუსტრაციებზე, ანკეტებსა და კითხვარებზე დაყრდნობით საუბარი;
- თანაკლასელებთან ერთად მარტივი სიტუაციის გათამაშება ნასწავლ თემატიკაზე და სხვა.

მიმართულება 2. წერითი მეტყველება (კითხვა და წერა)	
მისაღწევი შედეგები	V კლასის შეფასების ინდიკატორები
<p>II უცხ. დაწყ. (II) 5. მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ამოიცნობს ყველა მთავრულ და არამთავრულ ბეჭდურ/ნაწერ ასოს; ➤ ახმოვანებს ასოებს, ასოთშენაერთებს, მარცვლებს; ➤ ხმამაღლა და გარკვევით კითხულობს ნასწავლ სიტყვებს, გამოთქმებს, წინადადებებს.
<p>II უცხ. დაწყ. (II) 6. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების გაგება.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ამოიცნობს სავარჯიშოს პირობას; ➤ იგებს საჯარო წარწერებს (მაგ.: გამაფრთხილებელ წარწერას; გაჩერების, ქუჩის, მაღაზიის, საჯარო შენობის დასახელებას); ➤ ამოიცნობს ტექსტის ზოგად შინაარსს; ➤ ამოიცნობს ფაქტობრივ ინფორმაციას; ➤ ამოკრებს საჭირო ინფორმაციას.
<p>II უცხ. დაწყ. (II) 7. მოსწავლემ უნდა შეძლოს მოდელის ან კონკრეტული საყრდენების მიხედვით ნასწავლ თემატიკაზე მცირე მოცულობის ტექსტების შედგენა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ იცავს კალიგრაფიისა და მართლწერის ელემენტარულ ნორმებს; ➤ კარნახით წერს ნასწავლ სიტყვებსა და წინადადებებს; ➤ იყენებს ნასწავლ ლექსიკასა და შესიტყვებებს ტექსტის შედგენისას; ➤ მიუთითებს კონკრეტულ დეტალებს; ➤ იცავს ნასწავლ სინტაქსურ მიმართებებს წინადადების წევრებს შორის (მაგ., ათანხმებს არსებით და ზედსართავ სახელებს რიცხვში/სქესში; ათანხმებს ზმნას და არსებით სახელს პირსა და რიცხვში); ➤ იცავს სიტყვათა რიგს მტკიცებით და უარყოფით წინადადებებში.
<p>II უცხ. დაწყ. (II) 8. მოსწავლემ უნდა შეძლოს წერითი მეტყველების სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ აკვირდება ტექსტს და მის სიტყვიერ და არასიტყვიერ მაორგანიზებელ ელემენტებს მთლიანობაში კონკრეტული ინფორმაციის მოძიების მიზნით (მაგ., სათაურს, რუბრიკას, ილუსტრაციას, წარწერას, აბზაცს, სვეტს, ლოგოს, ტიპოგრაფიულ მახასიათებლებს - მსხვილ შრიფტს და სხვა) და იყენებს მათ საყრდენებად; ➤ ამოიცნობს უცნობი სიტყვების, გამოთქმების მნიშვნელობას ნაცნობი ელემენტების (როგორებიცაა: ილუსტრაციები,

	<p>ნაცნობი ფუძე, კონტექსტი, მშობლიურ ენაში დამკვიდრებული უცხოური სიტყვები: მაგ., ტელეფონი, ბანანი, ტაქსი) დახმარებით;</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მოიძიებს და ამზადებს აუცილებელ სასწავლო რესურსებს წერის დაწყებამდე (მაგ., ლექსიკონს, გრამატიკულ ცნობარს, ნიმუშს, საჭირო ენობრივ მასალას და სხვა); ➤ წერს შავ ვარიანტს, სასწავლო რესურსზე დაყრდნობით ამოწმებს ნაწერს, ასწორებს შეცდომებს და ათეთრებს ნამუშევარს.
--	--

რეკომენდაციები

საკითხავი ტექსტის ტიპები:

ა) მითითებები, სავარჯიშოს პირობა, ინსტრუქცია, საჯარო წარწერები (გამაფრთხილებელი წარწერა, გაჩერების/მაღაზიის/საჯარო შენობის დასახელება), ანკეტა, ღია ბარათი, მარტივი შეტყობინება, ამინდის პროგნოზი და სხვა;

ბ) თემატური მინიდილოგები, მარტივი მონოლოგები; მარტივი თხრობითი ან აღწერითი ტექსტები, კომიქსი და სხვა.

გ) ლექსები, ენის გასატეხები, გამოცანები და სხვა.

მოდელის მიხედვით შესადგენი ტექსტის ტიპები:

მარტივი კორესპონდენცია (ღია ბარათი, მარტივი შეტყობინება), ანკეტა, დღის განრიგი, გაკვეთილების ცხრილი, სია და სხვა.

აქტივობათა ნიმუშები:

- ტექსტების ხმამაღლა და გამოთქმით წაკითხვა;
- ტექსტში კონკრეტული სიტყვის, წინადადების პოვნა და შემოხაზვა;
- საჯარო წარწერების შესაბამის სიტუაციასთან/დიალოგთან/ილუსტრაციასთან დაკავშირება;
- მთლიანი ტექსტის ან კონკრეტული ინფორმაციის დაკავშირება ილუსტრაციებთან;
- ტექსტში მოძიებული ინფორმაციით მარტივი ცხრილების შევსება;
- ამინდის პროგნოზის მიხედვით ნაკლები დიალოგის შევსება;
- ტექსტში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ანკეტის შევსება;
- ღია ბარათების შესაბამისი ადრესანტების/ადრესატების ამოცნობა;
- არეულად მოცემული ტექსტის ფრაგმენტების სწორი თანამიმდევრობით დალაგება;
- სავარაუდო ვარიანტებიდან სწორი პასუხის შემოხაზვა;
- მოცემული ინფორმაციის დადასტურება ან უარყოფა ტექსტის მიხედვით;
- ტექსტში კონკრეტული ინფორმაციის მოძიება (ვინ, სად, როდის, რატომ და ა. შ.);
- დაფიდან ან ნაბეჭდი წყაროდან სიტყვების, წინადადებების გადაწერა;
- საკუთარი ოჯახის გენეალოგიური ხის შედგენა და სურათების ქვეშ საკუთარი სახელების მიწერა;
- ნიმუშის მიხედვით ანკეტის, გაკვეთილების ცხრილის, კვირის განრიგის საკუთარი მონაცემებით შევსება;
- პირადი ან გამოგონილი პერსონაჟის მონაცემებით ანკეტის შევსება (სახელი, გვარი, სადაურობა, საცხოვრებელი ადგილი, საქმიანობა და ა. შ.);
- ანკეტის მიხედვით მარტივი საინფორმაციო ტექსტის შექმნა;
- მოსაწვევი ბარათების შედგენა და გაფორმება;
- ილუსტრაციებზე შესაბამისი წარწერების გაკეთება;
- ილუსტრაციების მიხედვით წინადადებების დასრულება;
- ნიმუშის მიხედვით საგნის ან ადამიანის აღწერა;

➤ კონკრეტული ღონისძიებისათვის საჭირო ნივთების/პროდუქტების სიის შედგენა და სხვა.

მიმართულება 3. ინტერკულტურა	
მისაღწევი შედეგები	V კლასის შეფასების ინდიკატორები
<p>II უცხ.დაწყ.(II)9. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარი და უცხო კულტურის რეალიების ამოცნობა და სოციოკულტურული კონტექსტების შედარება.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ აკვირდება და ამოიცნობს ილუსტრაციებში/ტექსტებში ასახულ სახელმწიფო სიმბოლოებს, კულტურის რეალიებს (მაგ., დროშას, ძეგლს და სხვა); ➤ პოულობს სასწავლო მასალაში გამოვლენილ კონკრეტულ მსგავსებებსა და განსხვავებებს (მაგ., სადღესასწაულო მორთულობას, ჩვეულ საუზმეს და სხვა).
<p>II უცხ.დაწყ.(II)10. მოსწავლემ უნდა შეძლოს თანატოლებთან და მასწავლებელთან ერთად სხვადასხვა ტიპის პროექტების დაგეგმვა და განხორციელება.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ აყალიბებს პროექტის წარმატებით განხორციელების კრიტერიუმებს მასწავლებელთან და გუნდის წევრებთან ერთად; ➤ განსაზღვრავს და გეგმავს განსახორციელებელ ეტაპებს, ადგენს შესრულების ვადებს მასწავლებელთან და გუნდის წევრებთან ერთად; ➤ განსაზღვრავს საკუთარ ფუნქციებს გუნდის წევრებთან ერთად, მასწავლებლის დახმარებით; ➤ მოიძიებს, შეარჩევს და დაამუშავებს ინფორმაციას გუნდის წევრებთან ერთად; ➤ შეიმუშავებს პროექტის შავ ვარიანტს გუნდის წევრებთან ერთად; ➤ აუმჯობესებს და ასრულებს პროექტს გუნდის წევრებთან ერთად მასწავლებლისა და თანაკლასელების შენიშვნების, კომენტარების გათვალისწინებით; ➤ იღებს პროექტის შედეგების პრეზენტაციაში მონაწილეობას მასწავლებელთან და თანაკლასელებთან ერთად; ➤ იყენებს ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს პროექტზე მუშაობისას.
რეკომენდაციები	
<p>აქტივობათა ნიმუშები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ქართული და უცხოური სახელებითა და გვარებით ცხრილის შევსება და მსგავსება-განსხვავებების აღმოჩენა (მაგ., მათე, Mathieu, Matthieu, Matthäus, Matweñ); ➤ მშობლიურ ენაში შემოჭრილი უცხოური სიტყვების პოვნა და მათი ფონემური ხატის შედარება უცხოურენოვან ფონემურ ხატთან; ➤ ქართველი და უცხოელი მოსწავლეების გაკვეთილების ცხრილებს შორის პარალელების გავლება და მსგავსება-განსხვავებებზე საუბარი; ➤ უცხოური და ქართული საახალწლო ატრიბუტების ფოტოების დაჯგუფება ქვეყნების მიხედვით, ერთმანეთთან შედარება და მსგავსება-განსხვავებებზე საუბარი; 	

- ახალი წლის შეხვედრის უცხოური და ქართული წეს-ჩვეულებების შედარება და მსგავსება-განსხვავებებზე საუბარი;
- უცხო ქვეყნისა და საქართველოს დროშის პოვნა, ფერების დასახელება, ერთმანეთთან შედარება და გაფერადება;
- თანაკლასელების ფოტოალბომის შექმნა წარწერებით და კლასის წინაშე მისი წარდგენა;
- სასურველი გაკვეთილების ცხრილის შედგენა და წარდგენა;
- ზღაპრის/სკეტჩის დადგმა და წარდგენა;
- საყვარელი ფილმის აფიშის მომზადება;
- საბავშვო სიმღერების საღამოს გამართვა;
- დედის დღისადმი მიძღვნილი მისალოცი ბარათების გამოფენა;
- ქართულ-უცხოური პოეზიის საღამოს მოწყობა და სხვა.

VI კლასი

მიმართულება 1. ზეპირი მეტყველება (მოსმენა/მოსმენა-ყურება და ლაპარაკი)	
მისაღწევი შედეგები	მე-6 კლასის შეფასების ინდიკატორები
<p>II უცხ. დაწყ. (II) 1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული თემატიკის შემცველი მცირე ზომის ტექსტების გაგება.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ამოიცნობს თემას (პერსონაჟებს/თანამოსაუბრეებს, მოვლენებს და სხვა) მოსმენისას/მოსმენა-ყურებისას; ➤ ამოკრებს ფაქტობრივ ინფორმაციას (ვინ, სად, როდის, რამდენი, რომელი, როგორი და სხვა) ტექსტიდან; ➤ მოსმენისას ამოიცნობს ინტონაციით გამოხატულ ემოციებს (სიხარულს, გაკვირვებას, გაბრაზებას და სხვა); ➤ განასხვავებს დიალოგში მეტყველების ფამილარულ და თავაზიან ფორმას.
<p>II უცხ. დაწყ. (II) 2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სიტყვების, წინადადებებისა და ტექსტების გარკვევით და შესაბამისი ინტონაციისა თუ მახვილების დაცვით წარმოთქმა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სწორად და გარკვევით წარმოთქვამს სიტყვებსა და ფრაზებს; ➤ ადეკვატურად უსადაგებს არავერბალურ მეტყველებას ტექსტების შინაარსს; ➤ იცავს შესაბამის ინტონაციებს, მახვილებს, რიტმულ სეგმენტებს ტექსტის წარმოთქმისას.
<p>II უცხ. დაწყ. (II) 3. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრულ თემატიკაზე მარტივი ენით ინტერაქცია და რამდენიმე წინადადებაიანი მონოლოგის წარმოთქმა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სვამს/პასუხობს მარტივ კითხვებს საკლასო ან სიმულაციურ სიტუაციებში, ნაცნობი თემების გარშემო (მაგ., გაცნობა/წარდგენა, ინტერვიუს ჩამორთმევა, შეხვედრა, კაფეში შეკვეთის მიცემა, სატელეფონო დიალოგები და სხვა); ➤ გადმოსცემს სათქმელს უცხოურ ენაზე სასწავლო პროცესში წარმოქმნილ პრობლემებთან დაკავშირებით (მაგ.: “ვერ გავიგე”; “ეს რას ნიშნავს?”; “რვეული შინ დამრჩა”; “მათხოვე ფანქარი!” ...); ➤ საუბრობს ნაცნობ თემებზე; ➤ შეარჩევს საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვისი მიმართვის თავაზიან და ფამილარულ ფორმებს, გამოთქმებს, კლიშეებს, ენობრივ კონსტრუქციებს ინტერაქციისას; ➤ სათანადოდ იყენებს სხვადასხვა შინაარსის (თხრობითი, კითხვითი, მახილის) მქონე წინადადებას; ➤ იყენებს ადგილმდებარეობისა და დროის გამომხატველ მარტივ ენობრივ საშუალებებს; ➤ იცავს ელემენტარულ სინტაქსურ მიმართებებს წინადადებების წვერებს შორის (იყენებს ზმნას სათანადო პირსა და რიცხვში); ➤ სათანადოდ იყენებს ნასწავლ ლექსიკურ ერთეულებს.
<p>II უცხ. დაწყ. (II) 4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ზეპირი მეტყველების სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შინაარსის შესახებ სათაურისა და ილუსტრაციების საფუძველზე; ➤ იშველიებს არავერბალურ ელემენტებს (ხმის ტემბრს, ინტონაციას, მიმიკას, ჟესტიკულაციას, სხვადასხვა ტიპის ხმაურს, ლოგიკურ მახვილებს) ცოცხალი მეტყველების/ჩანაწერის გასაგებად;

	<ul style="list-style-type: none"> ➤ ამოიცნობს უცნობი სიტყვების, გამოთქმების, წინადადებების მნიშვნელობას ნაცნობ ელემენტებზე დაყრდნობით (კონტექსტი, ინტონაცია, ილუსტრაცია და სხვა) დამოუკიდებლად; ➤ გაუგებრობის შემთხვევაში ითხოვს განმარტებას, ნელა და გარკვევით წარმოთქმას, გამეორებას; ➤ იყენებს აუცილებელ რესურსებს (მაგ.: მოდელებს, წინადადებებს, გამოთქმებს, კლიშეებს) კომუნიკაციის წარმართვისთვის; ➤ იყენებს საკომპენსაციო საშუალებებს (მაგ.: მიმიკას, ჟესტიკულაციას, პერიფრაზირებას/აღწერს ნაგულისხმევ საგანს ან მიუთითებს რაში გამოიყენება და სხვა) სიტყვის დავიწყების/არცოდნის შემთხვევაში; ➤ აღმოაჩენს და ასწორებს საკუთარ/სხვის შეცდომებს ზეპირი მეტყველების დროს.
--	--

რეკომენდაციები

მოსასმენი ტექსტის ტიპები:
 ა) მითითებები, სავარჯიშოს პირობა, ინსტრუქცია, მარტივი შეტყობინება, ამინდის პროგნოზი;
 ბ) თემატური დიალოგი, მონოლოგი, მარტივი აღწერითი ტექსტები და სხვა;
 გ) ლექსები, ადაპტირებული ზღაპრები;
 დ) საბავშვო სიმღერები, სხვადასხვა სახის აუდიო-ვიდეო მასალა (მაგ.: სასწავლო და ავთენტური მასალები, ანიმაციური ფილმები, საბავშვო გადაცემები და სხვა).
რეპროდუცირებისთვის განსაზღვრული ტექსტები:
 ლექსები, გათვლები, ენის გასატეხები, ადაპტირებული ზღაპრები და სხვა;
პროდუცირებისთვის განსაზღვრული ტექსტის ტიპები და თემატიკა:

- თემატური მარტივი დიალოგი, მონოლოგი; მარტივი თხრობითი ტექსტი;
- ოჯახი, სოფელი და ქალაქი, მეგობრები, თავისუფალი დრო და აქტივობები, ჰობი, ამინდი, საყვარელი ნივთი, ცხოველები, მარშრუტი და სხვა.

აქტივობათა ნიმუშები:

- დიალოგის მონაწილეების ილუსტრაციაზე მონიშვნა;
- წინადადებების ან ფრაგმენტის მოსმენის შედეგად ტექსტის თემატიკის დადგენა;
- მოსმენილის შედეგად სწორი/არასწორი პასუხების მონიშვნა;
- ტექსტის მონაკვეთის მოსმენის შედეგად სავარჯიშოში გამოტოვებული ადგილების შევსება;
- რადიოგადაცემის ჩანაწერის მიხედვით ინტერვიუს რესპონდენტის მონაცემების ანკეტაში შეტანა;
- რამდენიმე ილუსტრაციიდან ისეთის ამორჩევა, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს მოსმენილი ტექსტის შინაარსს;
- მოსმენილი დიალოგის მიხედვით ცხრილის შევსება: ვინ? სად? როდის? რა მიზნით? რამდენი ხნით?
- ნაცნობ თემებზე თანაკლასელებთან მინი-ინტერვიუების მოწყობა (მაგ., არდადეგები, საცხოვრებელი ადგილი, მეგობრები, საყვარელი დღესასწაული და სხვა);
- ნაცნობი თემების გარშემო მარტივი შეკითხვების დასმა და შეკითხვებზე პასუხი;
- საცხოვრებლის, ქალაქის, სოფლის, ოჯახის და ა. შ. აღწერა ნახატებზე დაყრდნობით;
- მარტივი დიალოგების გათამაშება ნაცნობ სიტუაციებზე დაყრდნობით და თავაზიანი და ფამილარული ფორმების გამოყენება;

- საუბარში მონაწილეობა რაიმე თავგადასავლის, დღის განრიგის, გატარებული შაბათ-კვირის, არდადეგების და ა. შ. შესახებ;
- ამინდის პროგნოზზე დაყრდნობით ამინდზე საუბარი;
- მოსმენილი ტექსტის, ნანახი ფილმის ან სპექტაკლის (ან მათი მონაკვეთების) დასასრულის მოფიქრება და მოყოლა და სხვა.

მიმართულება 2. წერითი მეტყველება (კითხვა და წერა)

მისაღწევი შედეგები	VI კლასის შეფასების ინდიკატორები
--------------------	----------------------------------

<p>II უცხ. დაწყ. (II) 5. მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ თავისუფლად კითხულობს ნაცნობ სიტყვებსა და ფრაზებს; ➤ გამართულად კითხულობს მცირე ზომის ნაცნობ ტექსტებს შესაბამისი ინტონაციითა და პაუზების გამოყენებით.
---	---

<p>II უცხ. დაწყ. (II) 6. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების გაგება.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ამოიცნობს და ასრულებს სავარჯიშოს პირობაში წარმოდგენილ მითითებებს; ➤ ამოიცნობს ტექსტის საკომუნიკაციო სიტუაციას (ავტორი, ადრესატი, თემა, მიზანი); ➤ ამოიცნობს მოქმედებათა დროსა და ადგილს; ➤ ამოიცნობს ფაქტობრივ/ექსპლიციტურ ინფორმაციას (ვინ, რამდენი, როგორი და სხვა); ➤ ამოიცნობს პერსონაჟთა თვისებებს მცირე ზომის თხრობით ტექსტში; ➤ ამოიცნობს მოქმედებების თანამიმდევრობას; ➤ ამოიცნობს მოვლენათა შორის მიზეზშედეგობრივ კავშირებს.
--	---

<p>II უცხ. დაწყ. (II) 7. მოსწავლემ უნდა შეძლოს მოდელის ან კონკრეტული საყრდენების მიხედვით ნასწავლ თემატიკაზე მცირე მოცულობის ტექსტების შედგენა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ განსაზღვრავს საკომუნიკაციო სიტუაციას (ადრესატი, მიზანი, თემა) და იყენებს შესაბამის ლექსიკასა და შესიტყვებებს; ➤ გასაგებად აყალიბებს აზრებს; ➤ ალაგებს ინფორმაციას თანამიმდევრულად; ➤ მიუთითებს კონკრეტულ დეტალებს; ➤ გამოხატავს გრძნობებსა და ემოციებს, საკუთარ დამოკიდებულებას; ➤ იცავს ელემენტარულ სინტაქსურ მიმართებებს წინადადების წევრებს შორის (მაგ.: ათანხმებს არსებით და ზედსართავ სახელებს რიცხვში/სქესში; ათანხმებს ზმნას და არსებით სახელს პირსა და რიცხვში); ➤ შეარჩევს ზმნის სათანადო ფორმებს; ➤ იყენებს ადგილმდებარეობის გამოხატველ მარტივ ენობრივ საშუალებებს (მაგ.: წინდებულს, ზმნიზედას და სხვა); ➤ იცავს სიტყვათა რიგს მტკიცებით, უარყოფით და კითხვით გაუვრცობელ წინადადებებში; ➤ იცავს ორთოგრაფიის წესებს, სწორად იყენებს სასვენ ნიშნებს.
--	---

II უცხ. დაწყ. (II) 8. მოსწავლემ უნდა შეძლოს წერითი მეტყველების სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

მოსწავლე:

- მთლიანობაში აკვირდება ტექსტს, მის სიტყვიერ და არასიტყვიერ მათარსებულ ელემენტებს კონკრეტული ინფორმაციის მოძიების მიზნით;
- დამოუკიდებლად ამოიცნობს უცნობი სიტყვების, გამოთქმების მნიშვნელობას ნაცნობი ელემენტების დახმარებით;
- მოიძიებს და ამზადებს აუცილებელ სასწავლო რესურსებს წერის დაწყებამდე;
- წერს შავ ვარიანტს, სასწავლო რესურსზე დაყრდნობით ამოწმებს ნაწერს, ასწორებს შეცდომებს და ათეთრებს ნამუშევარს.

რეკომენდაციები

საკითხავი ტექსტის ტიპები:

- ა) მითითება, სავარჯიშოს პირობა, ინსტრუქცია, ანკეტა, დღის/კვირის განრიგი, სავიზიტო ბარათი, ბილეთი, კატალოგი, სამარშრუტო გეგმა, მენიუ, კულინარული რეცეპტი, ღია ბარათი, პირადი წერილი, მარტივი შეტყობინება, ამინდის პროგნოზი და სხვა.
- ბ) თემატური დიალოგი, მონოლოგი, მარტივი თხრობითი ან აღწერითი ტექსტები და სხვა;
- გ) ადაპტირებული სტატიები საბავშვო ჟურნალიდან, გაზეთიდან, ენციკლოპედიიდან და სხვა;
- დ) კომიქსი, ადაპტირებული ზღაპრები და სხვა.

მოდელის მიხედვით შესადგენი ტექსტის ტიპები:

ანკეტა, დღის/კვირის განრიგი, ბილეთი, კატალოგი, მენიუ, კულინარული რეცეპტი, მარტივი შეტყობინება, მარტივი კორესპონდენცია (ღია ბარათი, პირადი წერილი) და სხვა.

კონკრეტულ აქტივობათა ნიმუშები:

- სხვადასხვა პარამეტრით კონკურსის მოწყობა ხმამაღალ (გაწაფულ) კითხვაში (მაგ., ყველაზე სწრაფი მკითხველი, ყველაზე კარგი გამოთქმის მქონე, ყველაზე მონდომებული და სხვა);
- რეპლიკების, ლექსების გაბმულად და გამომეტყველებით წაკითხვა;
- ილუსტრაციაზე ან ტექსტის სათაურზე დაყრდნობით ტექსტის შინაარსის შესახებ გამოთქმული ვარაუდების შემოწმება;
- წაკითხული ტექსტის აზრაცხად დაყოფა და აზრაცხების დასათაურება;
- აზრაცხების ილუსტრაციებთან დაკავშირება;
- გამოტოვებული ადგილების შევსება ტექსტის შინაარსის შესატყვისი სიტყვებით, ფრაზებით;
- არეულად მოცემული ტექსტის ფრაგმენტების სწორი თანამიმდევრობით დალაგება;
- საკითხავი ამოცანების შესაბამისად ინფორმაციების ერთმანეთთან, ტექსტის ილუსტრაციასთან დაკავშირება (მაგ., აკავშირებს სათაურს ტექსტთან; გეგმის ცალკეულ პუნქტს - სათანადო აზრაცხთან; რუბრიკას ან ტექსტის ცალკეულ მონაკვეთს /ეპიზოდს - შესაბამის ილუსტრაციასთან და ა. შ.);
- ანკეტის შევსება მოცემული ნიმუშის მიხედვით;
- დღის განრიგის შედგენა ნიმუშის მიხედვით;
- ილუსტრაციებისათვის წარწერების შედგენა;
- მოცემული ყალიბის განსხვავებული შინაარსით შევსება;
- დიალოგის შევსება ნაკლული რეპლიკებით: პასუხების მიხედვით შეკითხვების შედგენა და პირიქით;
- მენიუს შედგენა;
- საყვარელი კერძის კულინარული რეცეპტის შედგენა;
- პირადი წერილის/ღია ბარათის/მოსაწვევის შედგენა ნიმუშის მიხედვით;

- საკუთარი ჰობის, ინტერესების შესახებ ტექსტის შედგენა ნიმუშის მიხედვით;
- სახელმძღვანელოში მოცემული ნიმუშის მიხედვით საყვარელი პერსონაჟის, სპორტსმენის, მსახიობის, მომღერლის აღწერა;
- კროსვორდების შევსება;
- პირადი ლექსიკონების შექმნა;
- ამბის დასრულება/მოცემული დასასრულის შეცვლა საკუთარი წარმოსახვით ან ილუსტრაციაზე დაყრდნობით და სხვა.

მიმართულება 3. ინტერკულტურა	
მისაღწევი შედეგები	VI კლასის შეფასების ინდიკატორები
<p>II უცხ. დაწყ.(II)9. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარი და უცხო კულტურის რეალიების ამოცნობა და სოციოკულტურული კონტექსტების შედარება.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ აკვირდება და ამოიცნობს ილუსტრაციებში/ტექსტებში ასახულ სახელმწიფო სიმბოლოებს, კულტურის რეალიებს (მაგ.: დროშას, მეგლს და სხვა); ➤ ამოიცნობს უცხო კულტურისთვის დამახასიათებელ ქცევის ეტიკეტს და სიმულაციური სიტუაციების გათამაშებისას იცავს უცხოური სოციოკულტურული გარემოსთვის დამახასიათებელ ნორმებს; ➤ სვამს კითხვებს მშობლიურ ენაზე/ითხოვს განმარტებას კონკრეტული სოციოკულტურული საკითხების გარშემო; ➤ კორექტულად გამოთქვამს საკუთარ აზრს, შეხედულებას, დამოკიდებულებას კულტურათა თავისებურებებზე მსჯელობისას.
<p>II უცხ. დაწყ.(II)10. მოსწავლემ უნდა შეძლოს თანატოლებთან და მასწავლებელთან ერთად სხვადასხვა ტიპის პროექტების დაგეგმვა და განხორციელება.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ აყალიბებს პროექტის წარმატებით განხორციელების კრიტერიუმებს მასწავლებელთან და გუნდის წევრებთან ერთად; ➤ განსაზღვრავს და გეგმავს განსახორციელებელ ეტაპებს, ადგენს შესრულების ვადებს მასწავლებელთან და გუნდის წევრებთან ერთად; ➤ განსაზღვრავს საკუთარ ფუნქციებს გუნდის წევრებთან ერთად, მასწავლებლის დახმარებით; ➤ მოიძიებს, შეარჩევს და დაამუშავებს ინფორმაციას გუნდის წევრებთან ერთად; ➤ შეიმუშავებს პროექტის შავ ვარიანტს გუნდის წევრებთან ერთად; ➤ ხვეწს და ასრულებს პროექტს მასწავლებლისა და თანაკლასელების შენიშვნების, კომენტარების გათვალისწინებით გუნდის წევრებთან ერთად;

	<ul style="list-style-type: none"> ➤ შეიმუშავებს გუნდის წევრებთან ერთად პროექტის საბოლოო ვერსიას და წარადგენს აუდიტორიის წინაშე; ➤ იყენებს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს მარტივი ინფორმაციის როგორც მოძიების, ისე სკოლის ვებგვერდზე განთავსების მიზნით.
--	--

რეკომენდაციები

აქტივობათა ნიმუშები:

- ილუსტრაციებზე/ტექსტებში ასახული სახელმწიფო სიმბოლოების/ღირსშესანიშნაობების მოძიება;
- ქართული და უცხოური ზღაპრის/მოთხრობის/ფილმის პერსონაჟების ამოცნობა და შედარება;
- უცხოელი თანატოლისა და საკუთარი საუზმის, სადილისა და ვახშმის შედარება და მსგავსება-განსხვავებების პოვნა;
- ილუსტრაციებზე მოცემული ქართული და უცხოური კერძების დაჯგუფება ქვეყნების მიხედვით და ეროვნულ კერძებზე საკუთარი აზრის გამოხატვა;
- საკლასო ზეიმის/თემატური საღამოს ჩატარება (ახალი წელი, გაზაფხულის ზეიმი და სხვა);
- ნასწავლი ზღაპრის ინსცენირება;
- კლასში დამუშავებული მოთხრობის (ზღაპრის, ალბომის და სხვა) ფოტოებით/ილუსტრაციებით გაფორმება და მისი პრეზენტაცია;
- თანაკლასელების დაბადების დღეების კალენდრის შექმნა და კლასში გამოკვრა;
- შესწავლილი რეცეპტების მიხედვით კერძების მომზადება და გამოფენის მოწყობა;
- სასურველი ტელეგადაცემების კვირეული პროგრამის შედგენა და სხვა.